საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

სამშაბათი, 25 ნოემბერი 1919 წ. № 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეკუნი

რედაქცია (ღიაა 9—2 და 5—7).

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ადმინისტრაცია (ღიაა 9—2 და 5—7).

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. 3 თვით **130** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ. **სამგლოვიარო განცხადება:** სამუალო ზომისა თითოჯერ **50** მ., 12 საათის შემდეგ **70** მ.

ვარდენ ვასილის ძე ქელბაქიანი და შვილები მისი: მაშო, ნადია, ლიუბა, ვენია, ფაცია და ლიზა, სიძეები: ვარლამ (ვალიკო) არდიშვილი და ევტიხი ჩხატარაიშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლის, მეორე ძვირფასი დედის და მესამე სიდედრის

ალექსანდრა ივანეს ასულ ქელბაქიანისას

რომლის გამოსვენება ბინიდან (პოლიციის ქუჩა, სახლი კლდიაშვილისა) და დაკრძალვა საფირჩხიის სასაფლაოზე მოხდება 25 ნოემბერს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე. 2—2.

ვარლამ (ვალიკო) არდიშვილი და მეუღლე მისი მაშო ვარდენის ასული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, — პირველი ძვირფასი სიდედრის, ხოლო მეორე საყვარელი დედის

ალექსანდრა ივანეს ასულ ქელბაქიანის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 25 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე, პოლიციის ქუჩა, სახლი კლდიაშვილისა.

ევტიხი ჩხატარაიშვილი და მეუღლე მისი ნადია ვარდენის ასული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი სიდედრის ხოლო მეორე საყვარელი დედის

ალექსანდრა ივანეს ასულ ქელბაქიანის

გარდაცვალებას რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს 25 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე პანაშვიდები ყოველ დღე 4 საათზე. პოლიციის ქ. სახლი კლდიაშვილისა.

ქვრივი ელისაბედ ირაკლის ასული მიქელაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში სამშაბათს 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

დავით ალექსანდრეს ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ. 2—2

მეუღლე ნადეჟდა დავითის ასული, შვილნი ივერიკო, ლევან ვარლამ და პეტრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 25 ნოემბერს (ახალი სტ.) წყალ გაღმა მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ირაკლი ოტიას ძის ნიკარაძის

სულის მოსახსენებლად.

ნაფიცი ვექილი

მახეილ ნიკიფორეს ძე ბერძენიშვილი

ბერძენიშვილი

გადავიდა ივანოვის ქუჩაზე, ახდრონიკაშვილის სახლში, ზედა სართულში.

3—2.

საფრანგეთი მოფლიოს მასწავლებელია.

საფრანგეთში სოციალისტები სასტიკად დამარცხდენ: 620 დეპუტატში მხოლოდ 15 გაიყვანეს.

ასე გასინჯეთ, კლემანსოს პარტიაც კი დამარცხდა, რომელიც თავს რადიკალ სოციალისტურად უწოდებს.

ყველაზე მეტი ხმა მიიღეს პროგრესისტებმა, შემდეგ კი რესპუბლიკელებმა (117) და ლიბერალებმა.

რას მივაწეროთ?

საერთაშორისო ომების შემდეგ სოციალისტურმა მოძრაობამ დამარცხებული ქვეყნები ააფორიაქა.

სოციალისტებმა რევოლიუცია სოციალისტური ექსპერიმენტების საწარმოებლად გამოიყენეს.

რუსეთში კომუნისტური წყობილება დამყარდა, რომელმაც შესანიშნავი სამხედრო ორგანიზაცია შექმნა, მაგრამ მაგიერად კულტურა და განათლება გაანადგურა.

და, გერმანიაში თუ სოციალდემოკრატია ფრთხილად მოიქცა, იმიტომ, რომ გერმანელებს — სოციალისტებსაც კი — მეტად გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ქვსთ და არ უნდათ საკვლ სოციალური ექსპერიმენტების სხვერპლად გახდენ და პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად გამარჯვებულ მტერს ჩაუგდონ თავი ხელში.

ეს არის კომუნისტური მოძრაობის დამარცხების მიზეზი.

მაშასადამე გერმანიაში სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ-დემოკრატებად შეიქნენ და ყოველს-ვე სოციალისტურ ოცნებას თავი გაანებეს.

პირიქით, მუშათა გაფიცვებსა და ანარქიულ გამოსვლებს ებრძვიან და მიზნად დაისახეს, რაც შეიძლება, მეტი მუშაობა და ზომიერი ხმარება.

რასაკვირველია, ექსპროპრიაციებისა და წარმოების განსაზოგადოების ფიქრი მიატოვეს.

ასე გასინჯეთ, სოციალისტური ფრაზეოლოგიაც კი ძლივს-ღა შერჩათ.

დიაღ! ძლიერ განსხვავდებიან ჩვენი სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელნიც, ვერ გადაეჩვევიან ერთხელვე შეთვისებულ ჩამორომევისა და რეკვიზიციის წარმოებას.

უეჭველია: გერმანიას შეუძლია აღადგინოს დანგრეული ფრანსიული სისტემა.

გერმანელები მუდამ განვეული იყვნენ მეტაფიზიკურ ქურქში.

ფრანგის თვალთახედვა კი ყოველთვის უფრო თავისუფალი ყოფილა მეტაფიზიკური ნისლისაგან და ახროვნება უფრო ცხადი, სწორი, პირდაპირი, დადებითი.

და ფრანგებმა ქეშმარიტებას პირდაპირ შეხედეს. და საგანი ნათლად დაინახეს.

საქვეყნოდ უარყვეს სოციალიზმის იდეაცა და ფრაზეოლოგიაც.

და მსოფლიოს თვალი აუხილეს.

ეს მით უფრო გულსახმიერია, რომ სოციალიზმი საფრანგეთში დაიბადა, გაიზარდა.

სოციალისტური პირველი აზანუ-ება ბაბეფმა და მისმა მომხრეებმა მოახდინეს მეთვრამეტე საუკუნის გასულს.

სოციალიზმის პირველი დიდი იდეოლოგები — ფურიე და სენ-სიმონი ფრანგები იყვნენ (მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს).

სოციალისტური მოძრაობა თანდათან იზრდებოდა და 1848 წელს (ივნისში) სისხლის-მღვრელ სამოქალაქო ომად გადიქცა.

და პირველი სოციალისტური კომუნისტური გადატრიალება საფრანგეთშივე მოხდა 1871 წელს.

პარიზის კომუნა დამარცხდა. აურაცხელი კეთილშობილი მოქალაქე შეეწირა სხვერპლად სოციალიზმის უტოპიას.

და ეს სხვერპლი საჭირო იყო ახალი სოციალური შენობის მტკიცე საფუძველზე დასამყარებლად.

მაგრამ სოციალიზმის იდეას კვლავ გულში ატარებდა პროლეტარიატის დიდი ნაწილი.

და უტოპიას კვლავ დიდი მეცნიერები გამოუჩნდენ.

და ახალმა სოციალისტებმა კომუნისტური გადატრიალება წინასწარ მეტყველეს.

ბევრს მათგანს ახალი საერთაშორისო ომი მიაჩნდათ სოციალისტური რევოლიუციის წინამორბედ აქტად.

მართლაც: საერთაშორისო ომს მოჰყვა შედეგად კომუნისტური გადატრიალება რუსეთში, ყველაზე უფ-

ქალაქის თეატრში

დღეს სპირიდონ კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური.

იტალიის ახალ პარლამენტში 138 სოციალისტი შევიდა და 370 არა სოციალისტი.

საფრანგეთის არჩევნებში ცრა-სოციალისტებმა გაიმარჯვეს.

საქართველო-აზერბეიჯან-სომხეთის პრემიერთა თათბირმა თბილისში შეთანხმებას მიაღწია.

წერილები:

ვ. წერეთელი: საფრანგეთი მსოფლიო მასწავლებელია.

ბიკ. აბესაძე: აქ სად მოდიან.

ნიკ. ახვლედიანი: სასურსათო თათბირზე.

რო ჩამორჩენილსა და უკულტურო ქვეყანაში.

მოგეხსენებათ კი, რაცა ყოფილა კომუნა! წითელ გვარდიელთა და სხვა და სხვა კომიტეტის დიქტატურა და ხალხის დამშვევა, გადაგვარება, სიკვდილის გაძლიერება და დაუსრულებელი სამოქალაქო ომი!

ფრანგებმა, თავისი სწორის, ნათელი აზროვნობის საშუალებით ადვილად წარმოიდგინეს საშინელება, რომელსაც კომუნიზმი კაცობრიობას უმზადებს და ფრანგული პირდაპირობით უარჰყვეს იგი!

ამაშია საფრანგეთის პოლიტიკური არჩევნების საერთაშორისო მნიშვნელობა!

მაშ საფრანგეთი მაინც კიდევ გზის მაჩვენებლად დარჩა მსოფლიოში!

პირველი იყო და პირველობავე შეირჩინა!

— —

ვასილ წერეთელი.

P. S. ეს წერილი, რომ დაიწერა, გაზეთებმა ამბავი მოიტანეს: იტალიაში ზომიერმა პარტიებმა გაიყვანეს 289 დეპუტატი, კათოლიკეებმა 81 და სოციალისტებმა მხოლო 139

და ეს ფაქტიც ხომ იმას მოასწავებს, რომ კულტურულს, განათლებულს, პოლიტიკურად მომზადებულსა და ეკონომიურად დაწინაურებულ იტალიაში უკუაგდეს უსაფუძვლო ოცნებაზე აშენებული უტოპიები და აღიარეს სწორ მეცნიერებაზე დამყარებული, რეალური, დადებითი პოლიტიკა.

მეცნიერებამ დაამარცხა მეტაფიკიზა!

ვ. წერეთელი.

აქ სად მოდიან?

სხვა და სხვა მოსაზრებით თბილისის მესვეურებმა გაბედული და მიზან შეწონილი ნაბიჯი გადადგეს. თბილისის უსაქმო და მავნე ელემენტებიდან გაწმენდა დაადგინეს. იქნება ეს უცხო არისტოკრატიის წინააღმდეგ მიპყრობილი, თუ მეტი დემოკრატი დაისჯება ამ განკარგულებით ეს ჩვენთვის არსებითად სულ ერთია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და თბილისში ერთი უსაქმო და მავნე ელემენტიც არ უნდა დარჩეს.

ზოგის თქმით ეს განკარგულება ჩვენმა ეკონომიურმა მდგომარეობამ გამოიწვია. საქართველოში წელს ძლიერ ცუდი მოსავალი იყო, უცხო ქვეყნიდგან პურის თუ სიმინდის შემოზიდვა ძლიერ გაძნელდა. აქაურ ფულს არსად იღებენ, და კიდეც რომ იღებდენ აქაური ფული ორი გემი დასჭირდება ერთ გემ სიმინდს. ასე რომ თუ არა გონიერი ეკონომიური პოლიტიკა და კერძო ინიციატივა საქართველოს დიდი გასაჭირი მოელის სურსათის მხრივ. და მართალია მთავრობა როცა ამბობს რომ ჩვენი ცოტა მოსავალი საქმიანმა ხალხმა მოიხმაროს ის ჯობია, ვიდრე უცხო ქვეყნიდგან უსაქმოდ შემოხიზნულმა.

ზოგის თქმით თბილისის გაწმენდა პოლიტიკური დირექტივების ნაკარნახევიაო. არ იქნა და არ მოისვენეს უცხოელებმა საქართველოში. ხან ხიდებს აფეთქებდენ, ხან არსენალებს გვიწვავდენ, ხან უაჩაღურ ბრბოს ადგენდენ, ხან ბოლშევიკურ შეამბოხეთ მეთაურობდენ, ხან უცხო ქვეყნის დიპლომატს ბომბებს უგორებდენ და ასე ამ რიგათ ისედაც აფორიაქებულ ცხოვრებას კიდევ მეტათ გვინგრევდენ, და უცხო სახელმწიფოს თვალშიდ ჩვენი ქვეყნის დასამარება მოინდომეს. ასეთი ხალხის თბილისიდან და სრულიად საქართველოდან განდევნა მართლაც რაციონალურია.

თბილისიდან უმეტესად არა ქართველი იქნება გაძევებული.

საკითხი იბადება სად უნდა წავიდენ? რომელ ქვეყანას უნდა შეაფარონ თავი?

ჩვენ საზრუნავ საგანს არც ეს შეადგენს.

ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩვენი საქმიანობით და ვამბობთ, რომ ხელს ნურავინ შეგვიშლის.

ვინც თბილისიდგან დაითხოვეს (არა ქართველები) იმათმა საქართველოს ტერიტორია უნდა დასტოვონ.

თბილისის გაწმენდის განკარგულება სავსებით გამშრალი არ იყო, რომ ყოველი ღამის მატარებლით ქუთაისში 20—40 უცხო ფიზიონომიის „ეშელონებით“ ჩამოდიოდენ.

მათი დენა ჯერ არ დამთავრებულა და ყოველ დღე ემატება ქუთაისს უცხო ტომის ხალხი.

ერთი კითხეთ ამ ვაგბატონებს აქ რაც მოდიან?

ზემო ნახსენები ორი მოტივი სრულიად საკმარისია, რომ მავნე პირებს აქ ცხოვრება აუკრძალოთ.

ჩვენი ქართველობა არც პოლიტიკურ ცხოვრებაში ერეოდა და სურსათიც ბევრი ჰქონდა დენიკინს, მაგრამ რამდენჯერმე გამოსცა განკარგულება დონის ოლქი ქართველებიდან და მუსულმანებიდან განწმენდილიყო.

თბილისადგან გამოძევებულები დღეს ქუთაისშიც მოდიან, თითქოს ქუთაისში ბევრი გვქონდეს სურსათი, ან აქ რამე გვქონდეს დასანგრევი ან ხიდები ასაფეთქებელი.

თბილისი დიდი ქალაქია და იქ იმდონათ არ შეეტყობა უცხო ელემენტები, როგორც ქუთაისს. თუ თბილისს, რამოდენიმე ათასი კაცი დასჭირდება, რომ ქართველი ერის ნორმალურ ცხოვრებას ხელი შეუშალოს, ქუთაისში ასეთ საქმეს რამოდენიმე ათი კაცი ეყოფა.

თბილისს ამ უკანასკნელ საუკუნეში არ თვლიდენ ქართულ ქალაქათ, მაგრამ ქუთაისი ხომ მაშინაც ქართული ქალაქი იყო როცა აქ რუსების სამფეროვანი დროშა ფრიალებდა და თუ მათ არ დაედგომებათ ძველათ ჭრელ ქალაქში ერთი ჰკითხეთ **აქ რა უნდათ.**

როცა თბილისიდან მათ ერეკებოდენ ქუთაისი სდუმდა. აი სწორეთ მაშინ იყო საჭირო ქუთაისის სადგურზე მგზავრების კონტროლი, სწორეთ მაშინ უნდა ეთქვა ქუთაისს, რომ არც ის იღებს მავნე პირებს.

უცხო ქვეყნების სტუმრებს აქ უსაქმოდ შემოხვეწილთ, ერის ზნეობრივ ხასიათზედაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა.

რუს „პრაპორჩიკობია“ რომ შეიქნა საქართველოს ქალაქებში, ზნეობა მაშინ შეირყა, და არც ეს უსაქმო სტუმრები არიან დიდი მორალისტები.

ცნობილია, რომ უსაქმო ელემენტების ერთად ერთ გასართობს კარტის თამაში შეადგენს და ამ გადმოხვეწილებმა ქუთაისში უნდა გახსნან ყოველ კერძო ოჯახებში კარტის სათამაშო დაწესებულებები, რაც დამლუპველათ იმოქმედებს აქაურ უსაქმოელებზედ.

ამ რიგათ უცხო ელემენტები ეკონომიურ განადგურებასთან და პოლიტიკურ ხიფათიანობასთან ერთად ერის დემორალიზაციასაც მოახდენენ აქ, და ამის შემდეგ ნუ თუ ჩვენ უფლება არ უნდა გვქონდეს ქუთაისის მესვეურთ შევეკითხოთ,

აქ რად უშვებთ.

ან და თვით მოუპატიჟებელ სტუმრებს ვკითხოთ.

აქ სად მოდიხართ?

ბიკ. აბესაძე.

ცოტა რამ სასურსათო თათბირზე.

სასურსათო თათბირის, გარეგნული ფორმა რეზოლიუცია, ერთობ ლამაზია, არსებითაც მეტად დამაფიქრებელი, და საშიშროების მომგვრელი. როდესაც ოპოზიცია უკიჟინებდა „ერთობისტებს“ მომავალ სასურსათო საშიშროებაზე და კრიზისზე, მაშინ ისინი გულგრილად ხვდებოდნენ ყოველივე ამას, და ეროვნულ დემოკრატულ პარტიას როგორც ბურჟუაზიულს. გაუმაძღარს და კაცი ჭამიას. ეძახოდენ. დღეს უკვე ირკვევა, რომ ის წინასწარმეტყველება, რომელსაც ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვამჟღავნებდით პრესაში თუ კერძოთ, უკვე რეალურათ დაგვირგვინდა არა ეროვნულ დემოკრატების სიტყვით, არამედ ვითომც და სოციალ დემოკრატების მეოხებით.

„ხანგრძლივ“ სასურსათო თათბირმა უნდა შექმნას ისეთი პირობები რომ გაჩნდეს საქართველოში უხვათ პური და ის აუცილებელი სურსათ-სანოვაგე, რომელიც ჩვენ სამშვიდობოზე გამოგვიყვანს. მაგრამ, იმ რეზოლიუციების განხორციელებით რომელიც სასურსათო თათბირს გამოუტანია ვერას დროს თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევს, რადგან ცენტრალური სასურსათო საბჭო და მისი ორგანოები არ არის ამ დანიშნულებისათვის მომზადებულნი, მათ არ აქვს გამოცდილება ღღებ მიცემობაში, არ იცნობენ ბაზარს, არ არიან გაცნობილი ფინანსიურ საკითხებს, რომელთანაც დიდი კავშირი აქვს ღღებ-მიცემობასთან და ვაჭრობა მრეწველობასთან. ამიტომ, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი გარემოება სურსათის საკითხის მოგვარებაში არ გამოდგება. თუ გვინდა რომ სურსათ—სანოვაგის საკითხი და მათი აპარატი იქნეს ჯეროვნად მოწყობილი, უნდა დავიხმაროთ ის ელემენტი რომელსაც შესწევს სწრაფადო ცოდნა, გამოცდილება და კომერციული ნიჭი თუ გვინდა რომ საქართველოს სურსათ—სანოვაგე უხვად ექნეს, სასურსათო ორგანოების მოგვარება დაუყონებლივ უნდა გადაეცეს ახლად დაარსებულ სავაჭრო პალატას, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო სამინისტროსთან ერთად შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას. სავაჭრო პალატა, როგორც მკითხველს მოეხსენება ავრთებს მთელ საქართველოს, რესპუბლიკის კუთხის ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც აქვთ საათანადო გამოცდილება საქონლის შეძენა გაყიდვაში. სავაჭრო პალატა, როგორც ღღებ-მიცემობის ორგანო სახელმწიფოში დიდ კავშირს დაიჭერს სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო სამინისტროსთან, რომლებიც ერთი მეორის დახმარებით შესძლებენ სურსათ-სანოვაგის საკითხის მოგვარებას. სავაჭრო პალატამ და ადგილობრივ ვაჭართა საბჭოებმა შეთანხმებით უნდა იმუშაონ ადგილობრივ თვითმართველობებთან და ერობებთან; უკანასკნელნი არიან

ჩაიკითხავს დეკრეტი საქართველოს საგარეო და შინაური მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორეტიკოსები, გამოუცდელნი, ვაჭარ მრეწველთა კლასი კი პრაკტიკულად დახელოვნებულია და ცხოვრებაში გამოჩარხული, ასე რომ, ის მომავალი სასურსათო ორგანოები და მათი ურიცხვი შტატი მოსამსახურეებისა შეჰქმნიან იმ გაუგებრობას, ხელის შეშლას და საქმის გაზვიადებას, რომელსაც ჰქონდა ადგილი სასურსათო კომიტეტების დროს 1918 წელს.

მართალია, რამოდენიმე დებულებები მიღებული სასურსათო თათბირის მიერ მოსაწონია, მაგალითად: რკინის გზაზე სასტიკი კონტროლი, საბაჟოების დაკეტვა, სიფხიზლე და სხვა., მაგრამ ყოველივე ესენი ჩვენი მხსნელნი ვერ იქნებიან, ვინაიდგან თუ სურსათ-სანოვაგის გარედან შემოზიდვამ თვალსაჩინო ადგილი არ დაიჭირა ჩვენს ცხოვრებაში, „შინაური“ სისასტიკე ვისკენაც არ უნდა იქნეს მიმართული უსაფუძვლო იქნება. ამიტომ, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ვიდრე გამოუცდელი გამოიცდებოდეს და მის ექსპერიმენტებს საქართველო გადაყვებოდეს, გამოცდილმა იკისრონ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, და სურსათ-სანოვაგის მხრივ ჩვენ უზრუნველგყოს. ამისათვის კერძო ინიციატივას უნდა მიეცეს ფართო ასპარეზი იმ პირობით, რომ 25% **გატანილ საქონლიდან უნდა შეტანილ იქნას სახელმწიფოს სალაროში** და დანარჩენი ფულით უნდა შემოიტანონ ის აუცილებელი სურსათ—სანოვაგე, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. აქ რასაკვირველია უნდა იქნეს შეთანხმებული მუშაობა სავაჭრო პალატისა და ვაჭართა კლასს შორის, ერთის მხრივ, და მეორე სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს და პალატის მხრივ. მხოლოდ ასეთი შეთანხმებული მუშაობა დაგვიხსნის სიმშილისგან.

ამ რიგად, საჭიროა მჭიდრო კავშირი სავაჭრო პალატის ადგილობრივ ვაჭართა საბჭოებთან, უკანასკნელის დაკავშირება სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო სამინისტროსთან ერთის მხრივ, და თვითმართველობის და ერობის მეორე მხრივ. მხოლოდ ასეთი შეკავშირებული მუშაობით შეძლება მოგვცემა ავიშოროთ ის უუსაშინელესი მტერი, როგორიც არის შიმშილი და მისი შედეგები. შეიძლება ასეთი ფუნქციების შესრულება სავაჭრო-პალატის მხრივ რაიმე საშიშროებას წარმოადგენდეს მთავრობისათვის, ან რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებებისათვის, იქ შემთხვევაში მთავრობას სრული უფლება უნდა ქონდეს გაუწიოს **კონტროლი** როგორც შიგნით, ისე გარეთ ოპერაციების წარმოებას.

დროა გონს მოვიდეთ და პარტიულ ჟინიანობას ნუ ვანაკვალებთ ყველაფერს.

ნიკ. ხვლედიანი.

საქართველო-აზერბაიჯანი სომხეთის შეთანხმება.

პირველი შეხვედრა სამი პრემიერისა.

20 ნოემბერი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკურ ცხოვრებაში, უსათუოდ ისტორიულ დღეთ ჩაითვლება. სასახლეში, ერთმანეთს შეხვდნენ ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის მთავრობათა თავმჯდომარე, რესპუბლიკათა ურთიერთობის და კეთილი განწყობილების დასამკვიდრებლად.

საგანგებო სხდომას, რომელზედაც დამყარებულია აზერბაიჯანის და სომხეთის გამწვავებულ მდგომარეობის შენელება, დაესწრენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. ე. პ. გეგეჭკორი, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავმჯდ. ნ. მ. უსუბეკოვი და ი. ხატისოვი, აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის ამხანაგი პარიზში მ. ი. გაჯინსკი. საქართველოს ელჩი ბაკოში ბ-ნი გრ. ალიშბაია.

საქართველოს შუამავლობა.

სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტში, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ჩარევამ, საესურველი შედეგი მოიტანა.

საგარეო საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის, მისტ. ოლ. უორდროპის და ანტანტის უმაღლეს კომისარის მოადგილის ბ ნ რეის ინიციატივით მოწვეულმა ოთხი დღის თათბირმა სრულ შეთანხმებას მიაღწია ყველა საკითხებში და სავალდებულო დადგენილება გამოიტანა სამივე რესპუბლიკისთვის, რომ ყველა სადაო საკითხები განხილულ იქნენ სამივე რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ და გადაწყვეტილ იქნენ არბიტრაჟის საშვალებით.

ბ ა ნ კ ე ტ ი.

ნიშნად ამ სამშვიდობო გამარჯვებისა, საქართველოს მთავრობამ სასტუმრო „ორიანტში“ გამართა ბანკეტი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ აზერბაიჯანის მხრით ნ. რ. უსუბეკოვი. მ. გაჯინსკი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოს მთავრობასთან ბ ნ ვეკილოვი, თაიროვი, პოლკ. ალიევი, ევანგულოვი, მამიკონიანი, ხაჩატურიანი, ტიგრანიანი, ქიშმიშევი;

მოკავშირეთა წარმომადგენლობის მხრივ: მისტ. ოლ. უორდროპი, ბ ნ რეი, იტალიის სარდლობის მეთაური პოლკ. გაბა, საფრანგეთის წარმომადგენელი გენ. ნონანკური, პოლკ. სტოგსი; საქართველოს მთავრობა მთელი თავისი შემადგენლობით, დამფუძნებელი კრების და ფრაქციების წარმომადგენლები.

უცხოეთი

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

საფრანგეთ-კავკასიის კომიტეტი. მიმდინარე წლის აგვისტოში დეპუტატ დე მონზეს საპატიო თავმჯდომარეობით ფრანგულ საზღვაო ლიგასთან მოეწყო საფრანგეთ-კავკასიის კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენს საფრანგეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს — საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის სავაჭრო დამოკიდებულებათა მოწესრიგება. 4 ოქტომბერს პარიზში სამეცნიერო საზოგადოებათა დარბაზში მოხდა ამ კომიტეტის საჯარო კონფერენცია, რომელზედაც დაახლოვებით შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია იქნა გამოტანილი: კომიტეტმა მოისმინა საქართველოს, ადერბეიჯანის და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოხსენებები ამ ქვეყნების ეკონომიურ ინტერესების შესახებ და მადლობას უცხადებს პირველ ყოვლისა თავის პრეზიდენტ- დამაარსებელს — დე-მონზეს იმ მუშაობისათვის, რომელიც მიმართული იყო ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ცნობისაკენ. კომიტეტი გადაჭრით მოითხოვს, რათა საფრანგეთის მთავრობამ თვით იცნოს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა და მიიღოს ზომები, რათა ასე მოიქცენ სხვა მოკავშირე სახელმწიფოებიც. ამ გზით, შეიძლება, კომიტეტის აზრით, დაცულ იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თვით-გამორკვევის უფლება და აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები კავკასიაში.

საფრანგეთი, ახალ დეპ. პალატაში. ლიონი, გიორგ. 19. საფრანგეთის ახალ დეპუტატთა პალატაში 626 წევრი იქნება 602 მაგიერ. 24 ადგილი ექნებათ ელზას ლორენის დეპუტატებს. ამ ჟამად არჩევნის ასეთი შედეგებია უკვე ცნობილი: ამორჩეულია: გაერთიანებული სოციალისტი 56, გადამდგარი სოციალისტები—5. რესპუბლიკანელი სოციალისტი—28. რადიკალები და რადიკალ სოციალისტები—129. მემარცხენე რესპუბლიკანელი —114. პროგრესისტები —138. ლიბერალები—15. კონსერვატორები—74. „აქსიონ-ფრანსეზ“-ის წრედან—5.

კლემანსო.

იტყობინებიან, რომ კლემანსო ამ ზამთარს ეგვიპტეში აპირებს გამგზავრებას: „მე არ მინდა ისე მოვკვდე რომ არ ვნახო პირამიდები. გათავდა ჩემი 40 წლოკანი პოლიტიკური მოღვაწეობა — დამიდგა დრო მყუდრო დასვენებისა. მე მიხარიან, ამდენი ხანი ვიცოცხლე, რომ ვნახე გამარჯვება, რომელმაც ჩემში წაშალა 1870 წლის უსიამოვნო მოგონებანი, რომელიც დღემდე ჰხუთავდნენ ჩემს არსებობას.

ი ტ ა ლ ი ა

იტალიის დეპუტატთა პალატის არჩევნები.

იტალიის დეპუტატთა პალატის არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვა. იუწყებიან რომ სოციალისტებმა გამარჯვების გამო დემონსტრაციები გამართეს, რომლის დროს დემონსტრატებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა, რის გამო მილანის სოციალისტური პარტიის ც. კომიტეტმა საერთო გაფიცვები გამოაცხადა.

იტალიის დეპუტატთა პალატის არჩევნები საბოლოოდ არ გამორკვეულა. რამდენათაც შეიძლება ითქვას, მიღებული ცნობებით სოციალისტები და კათოლიკები იმარჯვებენ, ეხლა კი საკითხია ამ ორში რომელს დარჩება გამარჯვება.

პარლამენტის არჩევნები.

რამდენათაც მიღებულ ცნობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, იტალიის პარლამენტის არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს, განსაკუთრებით ზემო სილეზიაში. არჩევნებში გამარჯვების სადღესასწაულოთ სოციალისტებმა მილანში დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრანტებსა და მთავრობის ჯარს შორის შეტაკება მოხდა. ამის გამო სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელებმა საერთო გაფიცვა მოახდინეს მილანში.

დენიკინის გრძანება

სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალებისადმი.

რადგან რუსეთის სავაჭრო გემები კვლავ განაგრძობენ შავი ზღვის სანაპიროთა აღკრძალულ პორტებში მიმოსვლას და აღკრძალულ სურსათის გატანას ბათუმსა და შავი ზღვის უცხოელთა პორტებში, ვბრძანებ დასამტკიცებლად ზემორე მოხსენებულისა აღსრულებაში მოიყვანოთ შემდეგი:

1 აღეკრძალოს რუსეთის კომერციულ გემებს ქართველების მიერ დაჭერილ სანაპირო პორტებში შესვლა.

2. აღეკრძალოს რუსეთის კომერციულ გემებით სურსათის შეზიდვა ბათუმში და შავი ზღვის უცხოელთა პორტებში თუ გემებს არ ექნებათ სათანადო ნებართვა.

3) შავი ზღვის ფლოტის სარდალს მიეცეს განკარგულება რათა შეამოწმოს რუსეთის კომერციული გემები და მათი საქონელი.

4. რუსეთის კომერციული გემები შენიშნულები ამ ბრძანების დარღვევაში გაიგზავნებიან სამხედრო პორტებში როგორც გემებისა ისე საქონლის საკონფისკაციოდ.

ხელს აწერს მთავარ-სარდალი გენერალ ლეიტენანტი **დენიკინი.**

ამტკიცებს: საზღვაო მმართველობის უფროსი ვიცე ამირბარი

გერასიმოვი.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

მეგენახეთა კონგრესი გაიხსნა კვირას 23 ნოემბერს.

ჩოხატაურის საქმის დამნაშავენი ყველა პასუხის გებაში მისცეს. სასამართლო საქმის გარჩევას უკვე შეუდგა.

შუამდგომლობა. საქართველოს სომხების ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობისთან, რათა მთავრობამ შესცვალოს თბილი-

სის გაწმენდის განკარგულება, ვინაიდან სომხების ლტოლვილები თან და თან სტოვებენ ბინილისს დამცხოვრებლები კი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით ამ კანონის ცხოვრებაში გატარებით.

◆ **მკვლელობა.** სენაკის მილიციის უფროსი ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს: 22 ნოემბერს ვარდენ პაჭკორიამ მოჰკლა რევოლვერით უფროსი მილიციონერი გუგუშვილი, თანამდებობის ასრულების დროს, დასაჭერათ ზომების მიღებისას მოჰკლა მაზრის მილიციონერი ლაბახუა და გვარდიელი ადამია. პაჭკორია ქვის შენობას შეეფარა. სენაკის შეიარაღებული მთელი ძალა ავამოძრავეთ. დამნაშავე დილამდი იარაღით მოქმედებდა. გათენებისას შენობის ქვედა სართული ბარბაზნით გავანგრიეთ. ამ პროცესში პაჭკორია მოკლულ იქნა.

◆ **ინგლისური ფეხსაცმელების ტარებისთვის** ბათუმში დაატუსაღეს ნიკ. კვარტაძე.

◆ **ჩრეზვიჩაიკის ხარჯები.** კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა მთავრობამ 1919 წ. პირველ ნახევარში 348 მილიონი მანეთი გადასდო, მეორე ნახევარში კი 561 მილიონი.

◆ **მობილიზაცია** შორაპნის მაზრაში მწყობრად მიმდინარეობს. გასაწვევი პირები აღფრთოვანებით ცხადდებიან.

◆ **საგარეჯოს იარაღის ძურა.** ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გვა ორლის დასაბარებით აღუა ემორტყა საგარეჯოს მცხოვრებლებს, იარაღი აყარეს, შეაგროვეს 100 მდე ვინტოვკა.

◆ **ცახელის მკვლელები.** პარმენ თვარკრელიძის (ცახელის) მოკვლის საქმეზე პასუხის გუბაში არიან მიცემულნი: ეზეკია ბუცხრიკიძე, დავით დოლონაძე და ალექსანდრე გაბადაძე. უკანასკნელი ორი იცნო ცახელის შვილმა როგორც მისი მამის მკვლელი.

მოწაფეთა მუსიკალური წრე.

(ოქმისებური)

კვირას ნოემბრის 23, მუსიკოს **მ. ბალანჩივაძისა და ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილის** ხელმძღვანელობით დაარსდა „მოწაფეთა მუსიკალური წრე".

სხდომა გაიხსნა ბ-ნ ალ. გარსევანიშვილის სიტყვით ქუთაისის ვაჟთა 2 გიმნაზიის დარბაზში.

დღის წესრიგში იყო წესდების განხილვა, რომლის საბოლოო სახის გამოსარკვევათ არჩეულ იქნა კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი: ალ. გარსევანიშვილი, ვალ. ცაგერეიშვილი, ნ. მახარაძის ასული, ვ. გაჩეჩილაძის ასული და თ. ჩხეიძე.

გადაწყდა წრის საბჭოტვრო საბჭო და გაძგეობა არჩეულ იქნეს შემდეგ სხდომაზე, მანამდის წრის საქმეების გაძღოლა დაეკალა შ. ლეკვიაშვილს. დადგენილ იქნა: საწევრო გადასახადი თვეში 5 მან. და წევრებათ მიიღებოდეს მხოლოთ ისეთები, რომელნიც გალობენ ან უკრავენ რომელიმე საკრავზე. წესდებაში შეიტანეს აგრეთვე სასულიერო კონცერტებიც. წრეს ყავს ჯერჯერობით სიმებიანი ორკესტრი.

საკითხების გარჩევის შემდეგ შესრულებული იქნა რამოდენიმე მუსიკალური ნომერი: მ. ლეკვინაძის ასულმა იმღერა რომანსები და შ. ლეკვიაშვილმა ვიოლონზე დაუკრა ბერიოს ფანტაზია-ბალეტი. სხდომა დაიხურა 1 საათზედ და 45 წ.

„**მერი**".

პასუხად ნიკოლოზ პიპინაშვილს.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" № 191-ში ჩვენ შევეხეთ რკინის გზელთა ყრილობაზე თქვენს მოხსენებას და გავაცანით მკითხველ საზოგადოებას თქვენი მოღვაწეობა, რასაც ძლიერ ცუდათ უმოქმედნია თქვენზე.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" № 27 ფურცლებზე, პირველი წერილის პასუხის შემდეგ, თქვენ შედგომიხართ თავის მართლებას, რითაც გსურსთ საზოგადოება დაარწმუნოთ თქვენს პატიოსნებაში და საქმიანობაში.

მოგიყვანიათ ვითომც და „ბოროტმოქმედების" ორი სამი მაგალითი და გაიძახით „ამერიკა მე აღმოვაჩინეო". თუ მოსამსახურეებს ერთმანეთისთვის უცემიათ, თქვენ ქურდობა-მექრთამეობათ გეჩვენებათ, თუ მწონელს 500—600 ცალ მიღებულ ყუთი აკრძალული საქონელი გაპარვია, ბოროტმოქმედებათ მიგაჩნიათ და მწონელთან ერთად მოლარეც დამნაშავეთ, რადგან ყნოსვით ვერ გაიგო კარჩაკეტილ 30 საჟენზე მოშორებულ სალაროში თუ რა საქონელი ჩაბარეს მწონელს, მწონელთან ერთად მოლარესაკ ბოროტ-მომქმედს უწოდებთ და მოითხოვთ მის სამსახურიდან დათხოვნას.

ასეთია თქვენი აზრი

ნათქვამია „ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო" და რად გაგიკვირდათ თუ 1000 და 1500 მუშა მოსამსახურეში ოთხი ან ხუთი რიგ ყოფილიყო არა სასურველი მოსამსახურე, მათ ბოროტმოქმედებას საბუთებით უნდოდა დამტკიცება და არა ჩუმი „დონოსი" ბრალიანის და უბრალოს გასვრა-დათითხნა, ცენტრალური გამგეობის და ადმინისტრაციის შეცდომაში შეყვანა, დათხოვნა-ჩამოყენება უდანაშაულო მოსამსახურეების და თქვენი ტრაბახი. ეს გგონიათ თქვენ საქმე? არა ეს საქმე არ არის.

ჩვენ ვიცით, ყველა თქვენ მიერ ჩამოთვლილ ბოროტ-მოქმედებებზედ უთქვენოთ იყო შედგენილი ოქმები და დამნაშავენიც შესაფერ სასჯელს მიიღებდენ, მაგრამ თქვენ ამას არ აცალეთ, ვინაიდან თქვენი პირადი ინტერესები გაიძულებდათ რაც შეიძლება ბლომათ მოგენათლათ „ბოროტმოქმედების აღმოჩენით" თავი გესახელებიათ, და მეორე ის, რომ თუ თქვენ მართალი კაცი ბრძანდებოდით, რად სამედიატარო სამართალში არ ინებეთ გაყოლა, როცა გამოგიწვიეს? გეშინოდათ, რომ ფარდას აგხდიდათ და თქვენს სახეს ყველა მუშა-მოსამსახურეებს დაანახვებდა?

სხვას უკიჟინებთ და ნაკლს თქვენვერ ხედავთ. ერთი გვითხარით, რამდენჯერ გვინახავხართ დუქან-რესტორანებში სხვისი ჯიბით შექეიფებული? რამდენჯერ გვინახავხართ დაბალ მოსამსახურეების ოჯახში დროების გამტარებელი? მაგრამ ეს ხომ თქვენთვის ნება დართული ყოფილა თქვენის აზრით..

სცდებით ბ-ნო ნიკოლოზ, სცდებით...

სანამ თქვენ, თქვენის ორი-სამი ამხანაგით ნება გქონდათ მუშა-მოსამსახურის გაბედნიერების ან გაუბედურებისა, თქვენ არ შეგეძლოთ თქვენ ხელ-ქვეით მუშა მოსამსახურეთა ოჯახებში, გინდ მათთან დუქან რესტორანებში გევლოთ და დროება გეტარებიათ.

თქვენს უკანონო მოქმედებაზე ხმას ხომ ვერავინ აღიმაღლებდა, და თუ ამას იზამდა თქვენ ხომ მზათ იყავით მოგვეთხოვათ ვისგანაც ჯერ იყო მისი სამსახურედან გაძევება, როგორც „პროვოკატორის და არა საიმედო პიროვნების", გაიხსენეთ თქვენი დეპეში წასული მარიამობის თუ ენკენის თვის № 16.

აღარ გახსოვსთ ბ. ნიკოლოზ, ერთ ოჯახში რომ ბრძანეთ ს. ჩ. სამსახურიდან დათხოვაში გადაჭრილი როლი მე ვითამაშეთ, კარგად არ ვიცნობდი და შეცდომაში შემიყვანესო და რა კი დავრწმუნდი მის უდანაშაულობაში, სულით ავათმყოფობას განვიცდიო? მერე რით გაასწორეთ თქვენი შეცდომა?

ამის შემდეგ კი, თუ გყოფნისთ სინიდისი რომ გამოდიხართ მისს წინააღმდეგ კრებაზე და გინდათ ნდობა დაუკარგოთ მუშებში? სამსახური დაუკარგე, მაკრამ ნდობას მაინც ვერ დაუკარგავთ. დამშვიდებული ბ-ძანდებოდეთ, მოვა დრო და მოიმკით იმას, რასაც სთესავთ.

ყოფილი მოსამსახურეთაგანი.

კორესპონდენცია.

სიმონეთის რაიონი. სიმონეთის რაიონში მკოლები დიდ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. ვერც ერთ მკოლას ვერ ნახავთ მთელი ფანჯრებით, რიგიანათ აბმული კარებით, რიგიანათ დაგებულ ჭერ-იატაკებით. ეს მაცოცხლებელი და ერის ცხოვრებაში შემტანი დაწესებულება ყოველ უცხო სახელმწიფოში სათანადოთ არის დაყენებული. არაფერი ეშველა მხოლოდ საქართველოს. ერობის პირველი ნაბიჯებით ჩვენ იმედი გვქონდა რომ მოეწყობოდა სკოლების საქმე საქართველოში.

თითო სკოლაში, სადაც უმეტესად თითო ოთახის მეტი არ არის, ორ-ორი მასწავლებელი დაინიშნა. სადაც ორი ოთახია იქ კი სამ-სამი. ეს ოთახები უმეტესად ისეთებია, რომ სამს და ორს კი არა თითო მასწავლებელსაც არ დაედგომება. აგერ ზამთარი მოდის და სკოლაში ცივ ცხელის დათება შეუძლებელი იქნება, რადგან სითბოს ტარებ[illegible] [illegible] სივრცე მეტი ექნება, ვიდრე ოთახში დასადგომი.

საჭიროა ერობებმა პირველ ყოვლისა მკოლების შენობების შეკეთებაზე იზრუნონ, თორემ გაციებულ გაყინულ ბავშვს ათ-ათი მასწავლებელი რომ მიუჩინოთ მაინც ვერაფერს ისწავლის.

მეორე გარემოება, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო პირებისგან, ეს არის სოფლის სკოლების პარტიულ კლუბებათ გადაკეთება. ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი, რომ რიგიან პირობებში სკოლის პასუხის მგებელი გამგეა, და მისდა ნება დაურთველად ფეხსაც ვერ უნდა ადგამდენ შიგ. მაგრამ სინამდვილით სულ სხვას ვხედავთ. სიმონეთის რაიონში სკოლები ფედერალისტების კლუბებათ გადაიქცა. მოიყრის თავს ხუთიექვსი ადგილობრივი უსაქმო, მათ ეწვევათ ერთიც ქუთაისიდგან „სარევოლიუციო ფედერალისტი" და აურზაურს ახდენენ სკოლაში.

საჭიროა სკოლის ინსტრუქტორმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და განკარგულება დაუგზავნოს სკოლის გამგეობას, რათა პარტიული კრებები სკოლებში აწი მაინც არ ხდებოდეს

ბანი.

— —

სვირი. ყოველი უბედურება სოფლელმა გლეხმა მეტად უნდა იგემოს ყველაზე. რკინის გზაზე სამხედრო წესები გამოცხადდა და უბილეთო მგზავრს სამი თვით ციხეში სვამენ. უბილეთო მგზავრი მართლაც დასასჯელია. როცა მგზავრი განგებ არ ყიდულობს ბილეთს, მაგრამ წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, რომ უკანასკნელ ზარის დროს მოვიდა მგზავრი სადგურზე, ვერ მოასწრო ბილეთის აღება, ან ბილეთი კიდეც არ მისცეს რადგან ხურდა არ ქონდა და სხვა. ასეთი შემთხვევები ხშირია. ბოლოს მგზავრი უბილეთოდ ჯდება, რადგან მან ის კი არ იცის თუ სამი თვე ციხეში ჩასვამენ, არამედ მხოლოდ ის იცის, რომ მას ორ ზომას გადაახდევინებენ, რომელსაც ის ურიგდება. მან არ იცის წერა, არც კითხვა და ვერც გებულობს რკინის გზის სადგურებზე გაკრულ განცხადებებს. წინეთ როცა სამხედრო წესებს აცხადებდენ მარტო წერილობითი ბრძანებებით არვინ კმაყოფილდებოდა.

სასოფლო კანცელარიებზე ურიდენ ხალხს თავს და იქ აცხადებდენ, დღეს ეს თითქმის არსად არ მომხდარა და ამიტომ უფრო საწყალი გლეხი იტანჯვის ამ რკინის გზის სამხედრო წესებით, ვიდრე ის ავაზაკი, რომლის მოქმედებამ ეს სამხედრო წესები გამოიწვია.

ანი.

მოწაფეთა. მუსიკალური წრე.

(ოქმისებური)

კვირას ნოემბრის 23, მუსიკოს **მ. ბალანჩივაძისა და ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილის** ხელმძღვანელობით დაარსდა „მოწაფეთა მუსიკალური წრე".

სხდომა გაიხსნა ბ-ნ ალ. გარსევანიშვილის სიტყვით ქუთაისის ვაჟთა 2 გიმნაზიის დარბაზში.

დღის წესრიგში იყო წესდების განხილვა, რომლის საბოლოო სახის გამოსარკვევათ არჩეულ იქნა კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი: ალ. გარსევანიშვილი, ვალ. ცაგერეიშვილი, ნ. მახარაძის ასული, ვ. გაჩეჩილაძის ასული და თ. ჩხეიძე.

გადაწყდა წრის საბჭოტვრო საბჭო და გაძგეობა არჩეულ იქნეს შემდეგ სხდომაზე, მანამდის წრის საქმეების გაძღოლა დაეკალა შ. ლეკვიაშვილს. დადგენილ იქნა: საწევრო გადასახადი

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სტამბა **ნ. ფერაძის** და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.